№ 305

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. აგვისტოს 25 № 20 ტფილისი.

შინაარსი

ვაჭრობა. მომარაგება.

118. ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ.

ხახელმწიფო დაზღვევა.

119. საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1937 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

განათლება.

120. საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო მუზეუმის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

121. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის დაარსების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

122. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 შენიშვნის გაუქმების შესახებ.

123. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 25 მუხლის შეცვლის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

118. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ.

I

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აეკრძალოთ კერძო პირთ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის (ბამბეული, შალეული, სელის და აბრეშუმის ქსოვილები, სამკერვალო და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიკოტაჟო ნაკეთობა, გალანტერია, ფეხსაცმელი, საოჯახო საქონელი, ველოსიპედი, პატეფონი და მისი ფირფიტები და სხვა მისთ.) გაყიდვა, ბაზარში გაყიდვის გამოკლებით და ისიც ისეთ ფასად, რაც არ აღემატება ადგილობრივი სახელმწიფო და კოოპერაციული მოვაჭრე ორგანიზაციების მაღაზიების სახელმწიფო ფასს.

შენიშვნა 1. ქუჩაში და ეზოებში ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის გაყიდვისა და შესყიდვის ნებართვა ეძლევათ მხოლოდ ახალი და ნახმარი ნივთების შემსყიდველი სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების აგენტებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ სათანადო მოწმობა და სათანადო ფორმის ტანისამოსი.

შენიშვნა 2. ადგილობრივი სახელმწიფო და კოოპერაციული მოვაჭრე ორგანიზაციების მაღაზიების ფასად იგულისხმება საერთო სავაჭრო ქსელის სახელმწიფო ფასები და არა სანიმუშო-საჩვენებელი „უნივერმაღების“ ფასები.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ნივთების გაყიდვა ბაზრებში შეიძლება მხოლოდ თითოჯერითი გამოსაღების ვადახდისას 20 კაპ. რაოდენობით.

3. დაევალოს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს გააძლიეროს სამილიციო საგუშაგოები ბაზრებში, სამრეწველო საქონლით მოვაჭრე იმ პირთა დასაჭერად, რომელთაც არა აქვთ ტალონები თითოჯერითი გამოსაღების გადახდის შესახებ და არღვევენ დაწესებულ სახელმწიფოებრივ საცალო ფასებს.

4. რესპუბლიკის პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველომ უნდა მოახდინონ თავიანთი ხაზით განკარგულება, რათა ამა დადგენილების დამრღვევნი მიცემულ იქნან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 142 მუხლების თანახმად.

5. დაევალოს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, საბჭოთა სექციებისა და პროფაქტივის მეშვეობით, ფართოდ დაიხმარონ საბჭოთა საზოგადოებრიობა ამა დადგენილების განხორციელების დროს და ჩააბან იგი ბაზრებზე სამრეწველო საქონლით ვაჭრობისათვის და დაწესებული ფასების დაცვისათვის ფხიზელი კონტროლის გაწევის საქმეში.

6. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელდეს საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ჩათვლით.

II.

ამა დადგენილების 1-ლი კარის შესაბამისად, 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებაში ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-18 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 14, მუხ. 84) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„18. თითოჯერითი გამოსაღები გადაჰხდებათ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხებს, რომელნიც ყიდიან თავიანთი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების პროდუქტებს, თავიანთ საკუთარ ოთხფეხ საქონელს, თავიანთ მიერ დამზადებულ შეშას და ნახშირს და აგრეთვე თავიანთი შრომით მოპოებულ მხილეულს, სოკოს, ყვავილებს, თევზს და ნანადირევს; მშრომელ შინამრეწველებს, რომელნიც ყიდიან თავიანთი წარმოების ნაკეთობას; ქალაქის მცხოვრებლებს, რომელნიც ყიდიან თავიანთი დამხმარე სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებს (თავიანთი ძროხის რძეს, თავიანთი ბაღის ან ბოსტნის ხილს და ბოსტნეულს), და იმ პირთ, რომელნიც ყიდიან ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელს.

თითოჯერითი გამოსაღების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი დღის ვაჭრობისათვის:

საზიდარით ვაჭრობისათვის	1 მან.	
ხელზე, თაფხით და სხვა მისთ. ვაჭრობისათვის	—	20 კაპ.
თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე	1 „	
თითო სულ წვრილფეხა საქონელზე	—	50 კაპ.

2. მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტი (საქ. სსსრ კან. კრ. 1935 წ. მე-10 №-ი, მუხ. 57) გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ. ა. თ. **ულენტი.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. ო. **ჩხეიძე.**

1936 წ. ივლისის 27. № 157/899.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 173 №-ში 1936 წ. ივლისის 28.

სახელმწიფო დაზღვევა

119. დადგენილება ს.კ.ს

საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1937 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 14-ის თარიღის და № 1254 დადგენილებისა „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგრძობილ იქნას 1937 წლისთვის მოქმედება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებისა: 1934 წ. აგვისტოს 4-ის—„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 24, მუხ. 192; 1935 წ. № 16 მუხ. 94) და 1935 წ. აგვისტოს 10/15-ის—„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 25, მუხ. 144); ამასთანავე, პირველ დადგენილებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) 3 და 21 მუხლები გაუქმებულ იქნას;

ბ) 25 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„25. კოლმეურნეთა მეურნეობებს (განუსაზოგადოებელი ქონების მიმართ) და აგრეთვე ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს, მუშა-მოსამსახურეებისა და სხვა მშრომლების მეურნეობებს, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან საბჭოთა კავშირის გმირები, სსრ კავშირის ორდენებით ან საპატიო რევოლუციური იარაღით დაჯილდოებული პირები და აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები, ეძლევათ შეღავათი მეურნეობაზე დარიცხული სადაზღვეო გადასახადის 50%-ის მონაკლების სახით“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. ივლისის 25, № 866.
ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

120. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ივლისის 23. № 154/823.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო მუზეუმის შესახებ.

1. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო მუზეუმი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაშია და წარმოადგენს კულტურულ-განმანათლებელ და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებას, რომელიც ამოცანად ისახავს შეაგროვოს, შეინახოს, შეისწავლოს და გამოფინოს საქართველოს სსრ-ის ბუნების ნიმუშები და კულტურის ისტორიის ძეგლები მუზეუმში წარმოდგენილი დისციპლინების ფარგლებში (მუხ. 9).

2. თავისი ამოცანების განსახორციელებლად მუზეუმს უფლება აქვს:

ა) შეაგროვოს სამეცნიერო კოლექციები და სხვა სამეცნიერო მასალები, აწარმოოს გათხრები, გეგმების გადაღება და სამეცნიერო ობიექტების ფიქსაცია;

ბ) შეინახოს სამეცნიერო კოლექციები და მასალები;

გ) მოაწყოს საჯარო და დახურული გამოფენები;

დ) მოაწყოს საჯარო მოხსენებები, ლექციები და კურსები;

ე) იქონიოს ურთიერთი მიმართვა სამეცნიერო ორგანიზაციებთან და პირებთან როგორც გამოცდილების, სამეცნიერო გამოცემებისა და დუბლეტური კოლექციების გაცვლა-გამოცვლისთვის, ისე სამეცნიერო დახმარებისათვის;

ვ) დააწესოს ადგილებზე თანამშრომელ-კორესპონდენტთა ქსელი.

3. მუზეუმის სამეცნიერო-საკვლეო მუშაობა წარმოებს როგორც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ისე კავშირის სხვა რესპუბლიკების ფარგლებში.

4. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან არსებობს გამომცემლობა, რომელიც აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს და მასალებს, ცალკეულ ძეგლებს, ანგარიშებს, კატალოგებს, გზაკვლევებს და სხვა დამხმარე გამოცემებს, რ საც კავშირი აქვს მუზეუმის სამეცნიერო-საკვლევო და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასთან; გამომცემლობას აქვს დამოუკიდებელი სახსარი და კონტოკორენტო.

5. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს აქვს იურიდიული პირის უფლებანი ამა დებულებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისათვის.

6. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ინახება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით და აგრეთვე მუზეუმის საქმიანობით მიღებული სპეციალური შემოსავლით.

7. სახელმწიფო მუზეუმს აქვს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი სახის ბეჭედი და შტამპი

8. სახელმწიფო მუზეუმთან არსებულ გამომცემლობას და აგრეთვე მუზეუმის ბიბლიოთეკას აქვთ თავიანთი შტამპი და ბეჭედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. მუზეუმის სტრუქტურა.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმს აქვს:

ა) განყოფილებანი:

1) გეოლოგიისა,
2) ბოტანიკისა,
3) ზოოლოგიისა,
4) არქეოლოგიისა,
5) ისტორიისა,
6) პალეოგრაფიისა;
7) ეთნოგრაფიისა;

ბ) ბიბლიოთეკა;

გ) დამხმარე დაწესებულებანი (ფოტო-ლაბორატარია, ტაქსიდერმიული ლაბორატორია, სამულაჟო სახელოსნო, სარესტავრაციო სახელოსნო და სხ.).

III. მუზეუმის მართველობის ორგანოები.

10. მუზეუმის კულტურულ-განმანათლებელ, სამეცნიერო და საადმინისტრაციო-სამეურნეო საქმიანობას ანხორციელებს მუზეუმის დირექტორი ერთმართველობის საფუძველზე.

11. მუზეუმის დირექტორი პირადად პასუხს აგებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე მუზეუმის საქმიანობისათვის.

12. მუზეუმის დირექტორი ინიშნება თანამდებობაზე და განთავისუფლდება ამ თანამდებობისგან განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით.

13. მუზეუმის დირექტორს ენიჭება:

ა) ხემძღვანელობის გაწევა მუზეუმის მთელი საქმიანობისათვის და წარმომადგენლობა სხვა დაწესებულებებთან და პირებთან ურთიერთი მიმართვის დროს;

ბ) ღონისძიებათა განხორციელება სამეცნიერო და სამეურნეო ქონების დაცვის, აღრიცხვისა და მოძრაობისათვის, სამეცნიერო და საადმინისტრაციო-სამეურნეო აპარატის ორგანიზაციისათვის, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციისათვის, საფინანსო და შრომის დისციპლინისა, სწორე ანგარიშგებისა და ასრულების კონტროლის დამყარებისათვის.

14. სწავლული მდივანი მუზეუმისა და მისი სამეცნიერო საბჭოს მდივანია. ის აწარმოებს მიწერმოწერას მუზეუმის სამეცნიერო საქმეების გამო; ხელმძღვანელობას უწევს მუზეუმის განყოფილებების, ბიბლიოთეკისა და გამომცემლობის სამუშაოთა გეგმის შედგენას; ადგენს მუზეუმის საქმიანობის წლიურ ანგარიშს; აწარმოებს სამეცნიერო საბჭოს სხდომათა ოქმებს; თვალყურს ადევნებს მუზეუმის ყველა სამეცნიერო გამოცემის ბეჭდვას; განაგებს გამოცემათა საწყობს და მათი ხარჯვის საქმეს.

15. სამეცნიერო საბჭო სათათბირო ორგანოა მუზეუმის დირექტორთან. მის შედგენილობაში შედიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მუზეუმის დირექტორი (თავმჯდომარე);

ბ) სწავლული მდივანი (მდივანი);

გ) განყოფილებათა გამგეები;

დ) მუზეუმის ნამდვილ წევრთაგან და უფროს მეცნიერ თანამშრომელთაგან სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეული პირნი;

ე) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ პერსონალურად დანიშნული პირნი.

16. სამეცნიერო საბჭოს შედგენილობას ამტკიცებს განათლების სსრ სახალხო კომისარიატი.

17. სამეცნიერო საბჭო იხილავს მუზეუმის ორგანიზაციისა და მისი სამეცნიერო და კულტურულ-განმანათლებელი საქმიანობის ორგანიზაციის საკითხებს და იძლევა მათზე დასკვნებს.

18. სამეცნიერო საბჭოს მოწვევა სავალდებულოა შემდეგი საკითხების განსახილველად:

ა) მუზეუმსა და მის განყოფილებათა ამოცანების შესახებ;

ბ) მუზეუმის სამეცნიერო და დამხმარე განყოფილებათა სისტემის ორგანიზაციისა და რეორგანაზაციის შესახებ;

გ) მუზეუმის სამუშაოების (გამოფენების), ექსპედიციების და გათხრების გეგმების შესახებ; მუზეუმის საქმიანობისა და მის ცალკეულ წინადადებათა შესრულების ანგარიშების შესახებ;

დ) იმ საკითხების შესახებ, რაც დაკავშირებულია მუზეუმის თანამშრომელთათვის სამეცნიერო ხარისხთა და წოდებათა მინიჭებასა და თანამდებობაზე მეცნიერ თანამშრომელთა წარდგენასთან.

19. განყოფილების გამგე განყოფილების სამეცნიერო-საკვლევო და საექსპლოატაციო მუშაობის ხელმძღვანელია. მას ეკისრება პასუხისმგებლობა განყოფილების მთელი ქონების დაცვისათვის, მისი სამეცნიერო კოლექციების რეგისტრაცის, მეცნიერულად აღწერისა და გამოსაყენებლად ხელსაყრელ პირობებში განლაგებისათვის.

20. მუზეუმის სწავლულ მდივანს, განყოფილებათა გამგეებს და ნამდვილ წევრებს დანიშნავს და დაითხოვს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, ხოლო დანარჩენ თანამშრომლებს—მუზეუმის დირექტორი.

IV.

21. მუზეუმის სამეცნიერო კოლექციებით, პალეოგრაფიული განყოფილების ხელნაწერი მასალებით და ბიბლიოთეკით სარგებლობა რეგულირდება მუზეუმის დირექტორის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული წესებით (შინაგანრიგება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვა

121. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის დაარსების შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის ივნისის 21-ის დადგენილებისა „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის დაარსების შესახებ" (სსრკ ც.ა.კ-ის „იზვესტია" 1936 წ. 22 ივნისი, № 144), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაარსდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი; ამასთანავე გაუქმდეს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს გაუწიოს ხელმძღვანელობა და კონტროლი ფიზიკური კულტურის კადრების მომზადებისა და განაწილებისა, სასპორტო ნაგებობათა (სტადიონი, კლუბი, მოედანი, აუზი და სხვ. მისთ.) გამოყენებისა და სხვადასხვა სასპორტო ინვენტარის განაწილების საქმეს.

3. მოეწყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარესთან საბჭო—პროფესიონალური კავშირების, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საქართველოს კომუნისტური კავშირის, სასპორტო ნებაყოფლობითი საზოგადოებებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის წარმომადგენელთაგან.

4. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურულ და საპორტო დაწესებულებათა და ორგანიზაციათათვის ხელმძღვანელობის გასაწევად:

ა) აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა სარესპუბლიკო და საოლქო კომიტეტები; ამასთანავე გაუქმდეს ფიზიკური კულტურის ამჟამად არსებული საბჭოები;

ბ) ქალაქ ტფილისის, ქუთაისის, ფოთის, თელავის, სიღნაღის, გორის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ჯუღელის, ჭიათურის, ტყიბულის, სამტრედიის, ცხაკაიას, ზუგდიდის და მახარაძის საბჭოებთან მოეწყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტები; ამასთანავე გაუქმდეს ფიზიკური კულტურის ამჟამად არსებული საბჭოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ყველა საქმე, ქონება და სიფინანსო სახსარი, აგრეთვე ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს და მისთვის უშუალოდ დაქვემდებარებული, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გამგებლობაში გადასაცემი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ასიგნვანი 1936 წლისათვის.

6. გაუქმდეს:

ა) დებულება ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭოების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 23, მუხ. 329);

ბ) დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 18, მუხ. 199).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ივლისის 16. № 156/819.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 167 №-ში 1936 წ. ივლისის 21.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

122. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 შენიშვნის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-5 №-ი, მუხ. 52) გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ივლისის 23. № 153/822.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

123. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 25 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 25 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„25. სახალხო მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს:

ა) სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა სარჩელს, რომლის ფასიც 100 მანეთს არ აღემატება, და აგრეთვე ყველა საქმეს წანახედის შესახებ, რა თანხისაც უნდა იყოს იგი, ხოლო უმეტეს 50 მანეთისა;

ბ) საჩივარს სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებლის მოქმედების შესახებ;

გ) იმ საქმეს, რაც აღიძვრის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, წამოწყებათა და ორგანიზაციათა შორის კომუნალური მომსახურეობით სარგებლობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავათა შესახებ, სარჩელის რა ფასიც უნდა იყოს;

დ) იმ დოკუმენტებზე დამყარებული სარჩელის საქმეს, რომელთა მიხედვითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოს სააღსრულებო წარწერით, იმ შემთხვევაში, როდესაც, კანონით დადგენილი ვადის გაცდენის გამო, საქმე განხილულ უნდა იქნას საერთო-სასამართლო წესით;

ე) განსაკუთრებული წესით საწარმოებელ საქმეს (ამა კოდექსის მესამე ნაწილი), გარდა უზენაესი სასამართლოს ქვემდებარე საქმისა რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ და ნოტარიუსის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის შესახებ;

ვ) სხვა საქმეს, რომლის განხილვაც დაეკისრება სახალხო მოსამართლეს კანონით განსაკუთრებულად გათვალისწინებულ შემთხვევაში“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ივლისის 23. № 152/821.

ტფილისი.

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1936 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ხ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 39. 3/მ. **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 29/VII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VIII; ტირაჟი 1.900

თავლ. რწმ. № ბ.-3924 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 712